№ 26 — 1917
ქვირა თიბათვის 25

წელიწადი მეხუთე
გამოცემისა
ფასი 20 კ.

პირველი სამინისტრო

სოციალისტ. მონაწილეობ.

1) კ. თ. კერენსკი სამხედრო და ზღვათა მინისტრი. 2) თავ. გ. ე. ლვოვი—მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა, 3) ა. ი. შინგარევი—ფინანსთა, 4) ა. ი. კონოვალოვი—ვაჭრობა-მრეწველობისა (თავი გაანება მაისის 18, 5) ი. გ. წერეთელი ფოსტა-ტელეგრაფისა, 6) ვ. ნ. ლვოვი—სინოდის პროკურორი, 7) ა. ა. მანუილოვი—განათლებისა. 8) ა. ვ. პეშეხონოვი სასურსათო, 9) ვ. მ. ჩერნოვი მიწადმოქმედებისა, 10) სკობელევი შრომისა, 11) ი. ვ. გოდნევი—სახელმწიფო კონტროლიორი, 12) ბ. ნ. პერევერზოვი იუსტიციისა, 13) ნ. ვ. ნეკრასოვი—გზათა, 14) მ. ი. ტერეშჩენკო—გარეშე საქმეთა, 15) თავ. დ. ი. შახოვსკოი—სოციალურ უზრუნველყოფისა.—ზევით—მარინის სასახლე, სადაც მინისტრთა სხდომები იმართება.

ეროვნული საკითხი!

მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს დიდი დარბაზი, სადაც შეკრებილია ძველი მთავრობა და მისი ბიუროკრატები.

განსახილველია საკითხი საქართველოს ავტონომიის შესახებ. კამათი და მსჯელობაა.

პირველი ბიუროკრატი: ქართველებისათვის რა საჭიროა რაღაც ავტონომია! ჩვენ მათ ერობას მივსცემთ, მორჩა და გათავდა.

მეორე. კავკასიაში მუდამ ეროვნული მტრობაა. ქართველებს რომ ავტონომია მივსცეთ, ეროვნული მტრობა კიდევ უფრო იმატებს; ამიტომ ყოვლად შეუძლებელია ავტონომიის მიცემა.

მესამე: ჩვენ ცენტრალისტები ვართ. სახელმწ ფოში სახელმწიფოს ვერ შევქმნით. სრულებით საკმარისია, რომ მივცეთ ქართველებს თვითმართველობა.

და სხვ. და სხვ.

თუ ახლა მკითხველი წარმოიდგენს იმ დარბაზს, სადაც ამ დღეებში მსჯელობა ჰქონდათ ეროვნულ საკითხის შესახებ რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიის დელეგატებს, დაინახავს, რომ ამ ორ დარბაზს შორის ბევრი რამ არის საერთო ეროვნული საკითხის შესახებ კამათში.

აქაც ერთი დელეგატი ბ. ნათაძე გულმოდგინეთ ამტკიცებს: რათ უნდა საქართველოს ავტონომია, მე მისთვის ერობა მიბოძებია.

მეორე ირწმუნება: ჩვენ ცენტრალისტები ვართ, სახელმწიფოში სახელმწიფოს ვეწინააღმდეგებით, საქართველოს თვითმართველობაც ეყოფა.

მესამე ამბობს: ავტონომია კავკასიის ერებს ერთმანეთს კიდევ უფრო დააშორებს და სხვ. სხვ.

დელეგატების დიდი ნაწილი ეროვნულ საკითხში სრულებით მოუმზადებელი აღმოჩნდა.

მისი საბუთი ფართო ავტონომიის წინააღმდეგ წააგავდა იმ კაცის საბუთს, რომელმაც მეორეს თავი გაუტეხა და როცა ჰკითხეს: რათ გაუტეხეო, დიდის რიხით უპასუხა: იმიტომ!

ბევრი ისე მსჯელობდა, თითქოს დღეს რუსეთის დიდი რევოლიუციაკი არ იყოს, არაშედ ცხრაას ექვსი ან შვიდი წელი.

სხვები დიდი მომხრე იყვნენ ფართოუფლებიანი ეროვნულტერიტორიალური ავტონომიისა, მაგრამ ვერ გაჰბედეს, უარყოთ ის, რასაც არ თანაუგრძნობდენ, მიმხრობოდენ მას, რაც მათ რწმენა შეხედულებას მეეფერებოდა.

კრებაზე შემდეგმა ფრიად საგულისხმო გარემოებამ იჩინა თავი.

ამდენ დელეგატებში ორნახევარი რუსი იყო, ორნახევარი სომეხი და ესენიც არა თუ წინააღმდეგი იყვნენ ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიისა, უარჰყოფდენ ეროვნულ თვითმართველობასაც.

რა მიიღო, რა გზას დაადგა კონფერენცია ეროვნულ საკითხში?

„ერთობა“ № 75 სწერს:

„ამიერ კავკასიის სოციალ დემოკრატიულ კონფერენციაში ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აშენებული თვითმართველობა მიეღო და მით თავისი პროგრამის მუხლი სისწორით დაიცვა“

აქედან ჩვენ ვტყობილობთ ორ რასმე:

1) კონფერენციას მიუღია თვითმართველობა.

2) კონფერენციას სისწორით დაუცავს პროგრამის მუხლი ე. ი. ეროვნული საკითხი მას გადაჭრილი ჰქონია და ახალი არა შეუტანია.

ნოე ჟორდანია კი კონფერენციაზე ამტკიცებდა: ეროვნული საკითხი თუ დღესვე არ გადავჭრით, სხვები გადასჭრიან და მერე გვიანღა იქნებაო.

მაშასადამე ეროვნული საკითხი არ ყოფილა გადაჭრილი.

რა მიიღო კონფერენციამ, მარტო თვითმართველობა და სხვა არაფერი?

რეზოლუციაში ნათლად არის გატარებული ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმართველობა.

თვითმართველობა სხვა არის, ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმართველობა საკუთარის კონსტიტუციით, საკუთარი სასამართლოთი თვით უმაღლეს საკასაციო ინსტანციამდე. კი სულ სხვაა.

კონფერენციამ სისწორით დაიცვა თუ არა თავის პროგრამის მუხლი?

რასაკვირველია არა.

პროგრამაში ეროვნული საკითხის შესახებ მუხლი ბევრჯერ შეიცვალა.

ჯერ იყო ოლქობრივი თვითმართველობა, შემდეგ კულტურული ავტონომია და ღღეს კი პარტიამ მიიღო ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმართველობა.

ეროვნული საკითხის გადაჭრაში პარტია ღღეს ხელმძღვანელობს მარტო კულტურული კი არა, არამედ ტერიტორიალური პრინციპით, რასაც ასე მედგრად ეწინააღმდეგებოდა პარტია. ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმართველობა, რაც კონფერენციამ მიიღო, იგივე ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიაა ჩემის შეგნებით, ხოლო უფლებები ამ ავტონომიისა შეზღუდულია. ეროვნულ ტერიტორიალურმა პრინციპმა გაიმარჯვა დიდიხნის ბრძოლის შემდეგ და ეს არის ლირსება, როგორც პარტიისა, ისე მისი ბელადის ნოე ჟორდანიასი.

არ გავა დრო დიდი და პარტია ისე გაფართოვებს ეროვნულ-ტერიტორიალური და თვითმართველობის კომპეტენციას, როგორც ამას სოციალ-დემოკრატი ავტონომისტები მოითხოვენ.

დაკვირვებულათ, ბევრჯერ გადაჭარბებული სიფრთხილით, მაგრამ შეუჩერებლათ სწორედ აქეთკენ მოჰყავს ნოეს პარტია.

რაკი დედის მუცელში ჩანასახი გაჩნდება, ის უსათუოდ დასრულდება და იშობა.

რაკი პარტიის შეგნება ეროვნულ-ტერიტორიალური პრინციპი ჩაისახა, ის უსათუოდ განვითარდება და გადიქცევა სრულ უფლებიან ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიათ.

ივ. გომართელი.

თეატრი სოფლად.

წერილი ლანჩხუთიდან.

იყო დრო, როდესაც თეატრი, თეატრალური ხელოვნება მარტო ქალაქების მოთხოვნილებას შეადგენდა და სოფელი მას არ იცნობდა. მარა ცხოვრება თანდათან წინ წავიდა, სოფელიც კულტურულათ განვითარდა. მას ბევრი სულიერ-კულტურული მოთხვნილებანი დაებადა და აი არსდება სხვა და სხვა კულტურული დაწესებულებანი, მათ შორის დრამატიული საზოგადოებანიც, შენდება თეატრები, იდგმება წარმოდგენები და ხანდახან კონცერტებიც იმართება. ეს მოვლენა უაღრესათ სასიხარულოა, ვინაიდგან ეს მოწმობს ჩვენი ერის კულტურულ ზრდა-განვითარებას. მარა „რაღაა იგი სინათლე რასაცა ახლავს ბნელია?“ თეატრს სრულიად დაუკარგეს იდეური სახე, გადააცდინეს ის თავის გზას, დააშორეს თავის პირდაპირ მიზანს და ის გახადეს უბრალო ფულის შემოსავალ წყაროთ, სავაჭრო დუქნათ. ეს ითქმის განსაკუთრებით ლანჩხუთის თეატრზე. ვინ არ გინდათ, რომ თავს მსახიობათ არ თვლიდეს და არ მსახიობობდეს, აქ ყველა, რომელმაც კი წერა-კითხვა იცის, არტისტებია. იდგმება საარქივო ყოვლად უშინაარსო პიესები. და მერე მოგორ ასრულებენ როლებს? ეს ხომ პირდაპირ საშინელებაა. მარა თუ ეს ბავშვებს ეპატიება, არ ეპატიება დიდებს და ისიც მასწავლებლებს.

2 ამ თვეს კვირას ქალთა წრის სასარგებლოთ გამართეს „წარმოდგენა კონცერტიული“ განყოფილებით. ბილეთები სამი მანეთიდან ქვევით, ე. ი. ისეთივე ფასები, როგორც თითქმის ქალაქების თეატრში. მერე რით გაუმასპინძლდენ დამსწრე საზოგადოებას? ყოველ შინაარს მოკლებულ, დრო მოჭმულ, ყოველ სასცენო ხელოვნებას მოკლებულ საბავშო პიესის უხეირო ასრულებით. ეს ყველაფერი იყო გარდა სასცენო ხელოვნებისა. გულ დაწყვეტილი მაყურებლები მოუთმენლად მოელოდენ პიესის გათავებას, იქნება კონცერტმა მაინც გვასიამოვნოსო. მარა ვაი, რომ აქაც საში-

ლათ მოვსტყუვდით, იმღერეს ბავშვებმა რამდენიმე „ქართული“ ვამბობ ქართული, ვინაიდგან სიტყვები ქართული იყო, სიმღერები, მხოლოდ კილოით, ხასიათით, სულით არც ქართული, არც რუსული, არც ევროპიული; არც ტაქტი, არც ხმების შეთანასწორება, არც ჰარმონია. ამ ბავშვებს საზოგადოება კარგათ იცნობს, ნიჭიერი ბავშვებია და კარგ ხელმძღვანელის მეოხებით საზოგადოება არა ერთხ ლ დაუტკბიათ, მარა ამ საღამოს კი... ზოგიერთი დალოცვილი ადამიანი სადმე ორსამ სიმღერას გაიგონებს, შეითვისებს დამახინჯებულათ, თავი ლოტბარათ მიაჩნია და ულმერთოდ ამახინჯებს იმ ქართულ სიმღერებს, რომლებსაც განცვიფრებაში მოჰყავს ევროპიელებიც.-კი, თუ რიგიანად და სწორედ ასრულებენ.

კმარა ბატონებო! თეატრი არ არის საჯიროთო მოედანი, არც სავაჭრო სახლია. თეატრი ხელოვნების წმინდა ტაძარია, რასაც მხურვალებით უნდა ეპყრობოდეს ყველა ის, ვინც კი გრძნობს ხელოვნებასა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას. ახლად არჩეულ გამგეობის ყურადღების მივაქცევ ასეთ მოვლენაზე. მით უფრო გამგეობის თავმჯდომარისას, რომელსაც ძალიან კარგად ესმის ხელოვნება და სურვილიც აქვს მისი საუკეთესო სიმაღლეზე დაყენების. მიიღოს ზომები, რომ მზგავსი ალარ განმეორდეს.

Kordelio

ქარაგმა

რ-ს განთიადს მზის ვარდები აესხას და აექსოვოს,
მოწიწებით წარსტაგეს შენს წინ და ცელქს ცელქმა კოცნა გთხოვოს;
როს ბუნება ვარდის სუნით აითროს და ასურნელდეს,
გადირიოს შენის ეშხით, საკოცნელად უკან გდევდეს
და მიდამო მრავალფერად აეშხებულ-აფერილი,
ჰანგს გიმღერდეს, ჰანგს უკეთესს შენის ეშხით დატყვევნილი—
უარჰყავი ყველა იგი, უარჰყავი, როგორც თვით მე.—
გახსოვს, ერთხელ ვით გეტრფოდი, ვით გიმღერდი, ვით აგრითმე,
მაგრამ შენ კი ჩემს წრფელ ალერსს, ჩემს სიტყვას და ჩემს მუდარას—
აფარებდი შავს სუდარას!
და მე გრძნობა არეულმა შენს ეშხს თვალი ძლივს ავსწყვიტე,
წაველ სახლში: რა ვიფიქრე, რა ვსთქვი, რა არ გადავსწყვიტე,
მაგრამ, მაინც ვერ გავბედე და მე ეხლა ცოცხლად-მკვდარი,
დავალ უხმოდ და თან ვგოდებ ვით მაისის საზანდარი!
ჰო და ა!ე, თუ შენს ბაგეს, ბაგეს ცივს და ბაგეს უგრძნობს,
თუ რომ კიდევ ეტრფის ვინმე, თუ რომ ვინმე თანაუგრძნობს
უთხარ ჩემზე თუ: — ის ვაჟიც მეფრქვეოდა მარგალიტად
და ჰა ნახეთ გავიხადე სამარცხვინო მაგალითად,
უთხარ თუ შენ ვერაფერს გრძნობ, თუ გული გაქვს მეტად ცივი,
არად მიგ ჩანს თვით ცრემლები სარტფოს თვალთა დანაცვივი,
და სხვა... მაგრამ მე კი გეს'ის, ამ ღალატით ცოცხალად მკვდარი
ვიარ ობლად და თან მოვსთქვამ ვით მაისის საზანდარი!

ვეფხო-ფშაველი

პოლიტიკური გუშაგი

ვალოდია გოგუაძე.

გასულ წელს ჩასაფრებულ ავაზაკებმა ტყვიით მძიმედ დასჭრეს გურიის პოლიტიკურ დევნილთა და ყაჩაღების წინააღმდეგ მებრძოლ ჯგუფის მეთაური ვალოდია გოგუაძე.

ვალოდიას ასეთი მარცხი დიდი საგრძნობი დარჩა მთელი გურიისათვის. გურულები მას თავ-გამოდებით სწამლობდენ და იფარავდენ ძველი რეჟიმის პოლიციურ აგენტებისაგან. მაგრამ ვალოდიას სიცოცხლის უზრუნველსაყოფათ ეს არ კმაროდა. გაფთრებულ ავაზაკთა ბრბო ლოგინად ჩავარდნილ ავადმყოფსაც-კი სისტემატიურად თავს ესხმის და ლამობს უკანასკნელი სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს, რადგან კაცმოყვარე გურულები ვალოდიას ლოგინით დაატარებდენ სხვა და სხვა უშიშარ ადგილას. ასე ტანჯვა წვალებით მოაღწია მან დღევანდელ თავისუფლებამდე, და ამხანაგებმაც ის უშიშრად გადმოიყვანეს თბილისში ჭრილობის განსაკურნავად. (ლაზარეთი № 8).

ვინ არის ვალოდია, რა ადიდებს და აცისკროვნებს მის პიროვნებას, რით დაიმსახურა მან სიყვარული ხალხისა? ამის განმარტებას იძლევა ვალოდიას პოლიტუკურ ცხოვრების წითელი ხაზები.

მოვიგონოთ დასავლეთ საქართველოს ისტორიული წარსული, გენ. ალიხანოვის დამხჯელი ექსპედიცია, რომელმაც ჩააქრო რევოლიუციონური მოძრაობა, აღადგინა და განამტკიცა ძველი წესი მმართველობისა.

თქმა არ უნდა, რეაქციის გამარჯვებასთან ერთად იმარჯვებს საზოგადოების ნაძირალებიც. დრომ ისინი ცხოვრების ზედაპირზედ ამოატივტივა, იარაღით აღჭურვა და ხალხის დასარბევად აამოქმედა. ამის დაერთო მთავრობის გააფთრებული ეგზეკუცია, რამაც ხალხს ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი დაუყენა. ვერც გურია აცდა ამ ბნელეთის მოციქულთა თარეშს. პოლიცია უძლურია ბოროტებასთან ბრძოლაში, საჭიროა საზოგადოებრივ ძალთა დარაზმვა და მათ წინააღმდეგ ამოქმედება, საჭიროა გაბედული ორგანიზატორი, ხალხს რომ უწინამძღვროს და ერთის დაკვრით ალმოფხვრას ბუდე ბოროტებისა, და აი გამოჩნდა ცხოვრების გმირი, პოლიტიკური დევნილი, ბაქოს მებრძოლ ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრი—ვალოდია. ის საოთავეში უდგება ხალხის თავდაცვის საქმეს, გარს შემოიკრებს ტყის ძმებს, მისებრ პოლიტიკურებს და ხალხის ორგანიზაციასთან დაკავშირებული იარაღით ხელში სასტიკ ბრძოლას უცხადებს ყოველივე ანტი-საზოგადოებრივ მიმართულებას.

ვალოდიას მოწოდება ყაჩაღებისადმი—რომ ის „ტყეს ვერავის დაუთმობს, ტყე საფარია მხოლოდ სიმართლისთვის წამებულთათვის, რომ დაუყოვნებლივ იარაღი დაჰყარონ, ხალხს შეუერთდენ და პატიოსან შრომით იცხოვრონ“,—გავლენას ახდენს. ავაზაკების ნაწილმა იარაღი დაჰყარა და მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგა. ნაწილი კი სასტიკ ბრძოლას აცხადებს და ვალოდის რაზმს განადგურებას ემუქრება. მაგრამ დროთა მსვლელობამ დაგვანახვა, რომ გურიაში ავაზაკთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, რაც უნდა მიეწეროს ვალოდიას შეუპოვარ ბრძოლასა და მის გამჭრიახობას. წინააღმდეგ შემთხვევაში გურიაც გახდებოდა მსხვერპლი იმ საშინელ ტრაგედიისა, რომელიც განიცადა სამეგრელომ ეპიდემიურ ყაჩაღობის მწვავე შედეგებით.

სადაც უძლურია პოლიცია მთელი მისი შემადგენლობით, იქ ძლიერია ვალოდია თვისი მცირე რაზმით.

გაიძარცვა ფოსტა, — ვალოდიას კლანჭებს ვერ წაუვა ავაზაკები — ფული ხაზინას უბრუნდება. მოიტაცეს მშვენიერი ასული, ტყეს შეაფარეს, გადაკარგეს, მაგრამ ვალოდიას გამჭრიახ თვალს ვერსად დაემალა, — ქალი პატრონს უბრუნდება.

ხალხის მცველს ორი ძლიერი მტერი ყავს: — ადმინისტრაცია ბაქო-გურიასი და ავაზაკები მთელი ქვეყნისა. ბევრჯელ ცდილან ჩიხში მოემწყვდიათ, მაგრამ ყველგან ვალოდია გამოსულა გამარჯვებული.

ვალოდია მეტის-მეტი მშრომელია. ბარი, თოხი — მისი საყვარელი საგნებია. მას არ უყვარს უქმად ყოფნა. რა უყოთ რომ დევნილია, იარაღი მას ვერ გაიტაცებს, ვერც მისცემს წყაროს არსებობისას, და ვით საშვალება თავ-დაცვისა, გერმანულს მხოლოდ განსაცდელის დროს თუ აამოქმედებს.

დიდია გავლენა ვალოდიას ჯგუფისა. მისი ავტორიტეტული ხმა გურიის პოლიციურ კაბინეტშიაც-კი შეიკრა და ადგილობრივ თავ-აშვებულ მოხელეთა საქმიანობა ხალხის კანონიერ ნება სურვილებს დაუქვემდებარა.

მოვიგონოთ წარსული, გადავიხედოთ პარტიულ მოღვაწეთა ცხოვრებაში და თვალწინ წარმოგვიდგება ორი მოპირდაპირე მიმდინარეობა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დაიღუპა პირველი ხომალდი თავისუფლებისა, ჩვენ მოწამე გავხდით მრავალთა მრავლისა რომელთაც პირი იბრუნეს და ბედნიერთა ნავთსაყუდარს შეაფარეს თავი, ზოგი იარაღით ტყეში გაიკრა და საზოგადოებრივი კეთილ-დღეობა პირად ბედნიერებას ანაცვალა. მაგრამ ყველა ისინი, ვინც აღსავსე იყო საკაცობრიო იდეალებით, მტკიცედ და შეუფყვლად იდგნენ თავიანთ პოზიციაზე და განაგრძობდენ ბძოლას უკეთეს მერმისისათვის.

ამ უკანასკნელთა რიცხვს ვაკუთნებთ ვალოდის. მან სრული 13 წელიწადი განვლო პოლიციურ დევნასა და შევიწროებაში, და ერთხელაც ქედი არ მოუხრია, ერთხელაც იარაღში ჩაქედილ პიროვნებას შავი ლაქა არ მოსცხებია. ის ხალხს სულში ჩაუძვრა, მის წყლულებს მალამოდ დაედო, და აკი ლირსილი მოამაგე, ლირსეულ პატივისცემითა და მფარველობით მოცილებულ იქმნა თავისუფალ ქვეყნის კარებამდე.

მაგრამ დღეს, რევოლიუციის ხანაში, როდესაც საძირკველი ეყრება ხალხის საერთო კეთილდღეობას, როდესაც ძალთა შემოქმედება თხოულობს გაასკეცებულ მუშაობის ენერგიას, ამ დროს ჩვენი აქტიური მოღვაწე, ქვეყნის ულირს შვილთა მეოხებით, ფიზიკურად დაზიანებული საავადმყოფოში იმყოფება და შურის თვალით შეჰყურებს ყოველივე საზოგადოებრივ საქმიანობას.

შემთხვევა მქონდა მენახა ჩვენი გულითადი მეგობარი. შევდივარ თბილისის ერთ-ერთ სამხედრო ლაზარეთში, — ვკითხულობ ვალოდიას. ვალოდია აქ უკვე ცნობილი ავადმყოფი გამხდარა.

„ბავშვმაც-კი იცის ვინ არის კაკო"!!.. მომიგო მოწყალების დამ და მიმასწავლა ვალოდიას ადგილისაკენ.

ვხედავ მთის არწივს, მივესალმები. ერთი წლის ავადმყოფობას მასზე ვერაფრად უმოქმედნია. მისი მგრძნებარე, ცეცხლის მფრქველი თვალები და გულ-მკერდი ვით სალი კლდე, დღესაც ამაყად გამოიყურება.

მხოლოდ ჭრილობა მეტად სერიოზულია. მას ცალი მუხლი არ ემორჩილება და არც არის იმედი უვნებლად განკურნებისა, გული წყლულით ამეესო და უსაზღვრო 'მურის ძიებით გავიმსჭვალე.

ხალხი სასტიკად დასჯის შენს დამჭერელ ავაზაკებ, — ვანუგეშე ვალოდია.

— გურიიდან ჩამოსულებმა მიამბეს, რომ ყველა ის ავაზაკები არხეინად განაგრძობენ ცხოვრებას და ზოგიერთი მათგანი მილიციის სათავეშიც-კი მოხვდაო — ნაღვლიანად მიპასუხა ვალოდიამ.

ჩვენ არ ვიცით რამდენად მართალია ეს ნაამბობი. რომ ის უჩაღები, რომელთაც ბრალდებათ არა მარტო ვალოდიაზე თავდასხმა, არამედ მთელი რიგი სისხლის სამართლის დანაშაულობათა, არა გვგონია რევოლიუციონურმა გურიამ შეირიგიოს და მათ დირსეული განაჩენი არ გამოუტანოს.

თუ-კი გურიის რეაქციონერები: დ. მგელაძე, ნიკ თაყაიშვილი, დავით დუმბაძე და სხვები დღეს საპატიმროში სხედან და ხალხის სამსჯავროს ელიან, რატომ არ უნდა იყვნენ იმათ გვერდით იგივე ავაზაკები, რომელთა მოქმედება ხალხის რბევა-აწიოკებისკენ იყო მიმართული?

საზოგადოებრივი აზრი და მასთან რევოლიუციონური დისციპლინაც მოითხოვს, ყველა ბოროტ-მომქმედის დასჯას...

ალისტრო.

ფრ. ფოკ. აკი ალარა ვჯავრობ, შვილო (ჭკოტნის) დამთხვეული! მე ხშირად ვფიქრობ იმის შესახებ, რომ შენ ცხოვრებისთვის არ ვარგიხარ! (ფერანდაზე მოსამსახურე ოტაკს ასუფთავებს და თან ნამტვრევებსა ჭკრეფს).

ოთ. (ლიახ. მართალია დედი! ადტაგებით, მხიარულად) მაგრამ მაგეთი თვალით რათ მიყურებ, შეშინებული თვალით?

ფრ. ფოკ. მე გიყურებ და მიკვირს რა დაგმართვია? ეგ კი სწორედ არ ვიცი მაშ როგორ გიყურო?

ოთ. ბბა ერთი კიდევ შემომხედე!

ფრ. ფოკ. ი სულელი (გაუშტერებს თვალს ოთინს.

ოთ. ეხლა არა უშავსრა.

ფრ. ფოკ. სულელი. მე მინდა, რომ შენ სრულებით კმაყოფილი იყო. სრულიად კმაყოფილი ადამიანი.

ოთინ. დედი, ეგ არას დროს არ იქნება! კმაყოფილი ადამიანები—მამალ ფუტკრებს მოგვაგონებენ. სრულიად უვარგისი კაცუნები არიან!.

ფრ. ფოკ. ბბა ეგ რა სათქმელია...

ოთ (სერიოზულად და ტოტა ადელგებით) ჩემი ბიჭიკოც ასეთია, აწყმოთი უკმაყოფილო კაცი უნდა გამოვიდეს.

ფრ. ფოკ. ღმერთმა დაიფაროს, შვილო

ოთინ. საზოგადოთ ის სხვანაირი კაცი უნდა გამოვიდეს, თუმცა ისეთი კი არა, როგორც მე ვარ.. მე ვეცდები რომ ეს ასე მოხდეს.

ფრ. ფოკ. კაცი ბეჭობდა—ღმერთი იცინოდა. ჩვენც ვეცადნეთ შეძლებისადა გვარად...

ოთ. რა ვქნა, დედი! თუ თუ ასე უვარგისი ვარ?

ფრ. ფოკ. სრულებითაც არა! განა მე მაგას ვამბობ? მე სრულიადაც არ მიფიქრია... მაგრამ შენ თითონ ამბობ, რომ ფილიპე სულ სხვა ნაირი უნდა გამოვიდესო.. და... იცი რას გეტყვი: არ გწამს, შენ არა გწამს ღმერთი, შენ სრულებით სარწმუნოება (რელიგია) არა გაქვს. განა ჩვენ ეს არ უნდა გვაწუხებდეს?...

. . . . . .

ოთ. არა, დედი. შეიძლება კაცს ბევრი რამ არა სწამდეს, მაგრამ მაინც ესმოდეს-რა არის რელიგია ანუ სარწმუნოება...

ფრ. ფოკ. ვაიმე შვილო! შენი ლაპარაკი რო მესმის... ყოველთვის ვნანობ, რომ ღვთის მეტყველი არ გამოხველი. გახსოვს, როდესაც სანიმუშო ქადაგება სთქვი, მაშინ მითხარი...

ოთინ. (მხიარულად) დედი, დედი, რაც იყო—ის წარსულია (კარებს აკაკუნებენ).

ფრ. ფოკ. კარები ჩაკეტილი არ არის. (კარებისკენ მიდის)

მრეცხავი ლემანი. (დურჯი კაბუნებულიტანისამოსი აცვია, შემოდის დარტყვენით) დილა მშვიდობისათ!

ოთ და **ფრ. ფოკ.** (ცალტალკე) ღმერთმა მშვიდობამოგაცეს.

ფრ. ლემ. იმის შესატყობათ მეველი, უკაცრაოთ ფრაუ ფოკერატ, აქ ხომ არ არის ჩემი მდგმური? რამდენი ხანია დავეძებ...

ოთინ. ბატ. ბრაუნი? დიახ აქ გ ხლავთ

ფრ. ლემ. (ოთვალიერებს) ვიშ.. ვიშ... რა მშვენივრათაა აქაურობა მოწყობილი.

ფრ. ფოკ. როგორა ბრძანდებით ფრაუ ლემან?

ფრ. ლემ. ახ ფრაუ ფოკერატ! რალაა ჩემი ცხოვრება! იძულებული გავხდი ჩემი მოხუცი გამეგდო: აუტანელი გახდა. ხუთი ბავშვი მყავს დასარჩენი, შესანახი...

ფრ. ფოკ. რის ამბობ? მაგრამ...

ფრ. ლემ. (დაბარკს აწუვეტინებს) ფრაუ ფოკერატ, ნეტავი ასეთი ავადმყ ფი მაინც არ ვიყო. ძალიან ჯ ნგატ ხილი ვარ... გაჯავრება ძალიან მწყინს, დარდი კაცს ამოიჭამს. ამისათვის მე არავინ უნდა დამძრახოს.. დიახ მე ჩემ მოხუცს ვუთხარი: ადოლოფ, წადი შენს მეგობრებთან, შენს ამფსონებთან მეთქი... როგორც იქნება ბავშვებს მე ვუპატრონებ.. შენ თუ რასმე იშოვნი იმავე წამს გადაჭყლეტ.. ერთი ბრიოს ჭკუა არა გაქვს მეთქი.. შენ რომ ჭკუა გქონდეს ცო-

შვილის მთხოვრობამდის არ მიიყვანდი მეთქი დიახ, საყვარელო ქალბატონო, მერწმუნეთ, ყველაფერი; ვუთხარი, ყველაფერი, არაფერი დამირიდებია; ამის შემდეგ ისე მოვწყდი ასე მეგონა გულში ისარი გამიყარეს მეთქი.- რას იზამ... სწორე მოგახსენოთ... ასე სჯობია... ჩემი ხუთი ბალღით ღმერთი, უფალი არ გამწირავს (ცხვირს იწმენდს ხმიანად და ტრუმდებს ახოცს)

ფრ. ფოკ. მაგრამ ჩვენ უნდა'..

ფრ. ლემ. მეც მაგას ვეუბნები. თუნდა ინდოელებთან წადი მეთქი. თუ ხარჯისა და ფულის გაფთხილების უნარს გამოიჩენ კიდევ შეიძლება ჩვენ ერთად ცხოვრება მეთქი. მე პატიოსანი ვარ, მერწმუნეთ ფრუ ფოკერატ. სულ თვალ მარგალიტი რო იყოს გაშლილი, ჩემგან ამოდენა (ნეკის წვერს აჩვენებს) ხელმრუდობა არ შეიძლება.

იოჰა. ფრაუ ლემან, თქვენ ბრაუნთან მოლაპარაკება გსურთ?

ფრ. ლემ. ახ, არა; მართლა, კინალამ არ დამავიწყდა: ვილაცა ქალიშვილი მოვიდა და ბრაუნის ნახვა უნდა. (კარებს შემოაღებს და თავს შემოუყოფს ფრეიდინა მარი, მაგრამ მაღე ისევ მიეფარება. იოჰანესი შეამჩნევს.)

იოჰან. მობრძანდით; (ოთახში მოიფთ) კარებში ვილაცა ქალია. ბრაუნს რო კითხულობს უსათუოთ ის იქნება, (ფრაუ დემანს) თქვენ უნდა გეთხოვათ რო შემოსულიყო. (კარებს აღებს) გთხოვთ მობრძანდეთ, ფრეილინ. მგონი ჩემი მეგობარი ბრაუნის ნახვა გსურთ. უმორჩილესად გთხოვთ მობრძანდით

ფრ. ანნა მარი. (შემოდის ოთახში) უკაცრაოთ გეთაყვა, სწორე მოგახსენოთ. მცხვენიან რო გაწუხებთ.

იოჰან. სრულებითაც არ გვაწუხებთ. მობძანდით.

ფრ. ანნა: ფრაუ ლემანი ალარ დაბრუნდა... და მე მინდოდა მხოლოდ მეთქვა მისთვის, რომ, სულ ერთია, შემიძლიან სხვა დროსაც მაველაპარაკო ბატ. ბრაუნს მეთქი.

იოჰა. მობრძანდით, გეთაყვა, ბრაუნს მე ეხლავე დაუძახებ.

ფრ. ანნა. (შემოდის. ფეხზე დგას) გმადლობთ. როგორღაც მოუხერხებლათ მიმაჩნია..

იოჰა. ფრეილინ, გთხოვთ დაბძანდეთ! ამ საათშივე გაახლებთ ბრაუნს.

ფო. ანნა. ნუ სწუხართ გეთაყვა.

იოჰა. არაფერსაც არ ვწუხვარ. უკაცრაოთ, მე ეხლავე გიახლებით (შუშაბანდში კარდის. ქალები შეესალმებიან ერთმანეთს).

ფრ. ლემ. ეხლა ჩემი წასვლის დროცაა (ფრ ანნას) თქვენ მარტო გზა ხომ არ აგერევათ?

ფრ. ანნა. გმადლობ რო მომიყვანეთ. უკაცრავოთ თუ არ ვიქნები, ინებეთ მცირეოდენი გასამრჯელო. (ბორტმანიდან იღებს ფულს)

ფრ. ლემ. (ართმევს) გმადლობთ, დიდათ გმადლობთ, (ფრ ფოკერატს) დღეს ეს პირველად შემომივიდა ფული, ღმერთმა იცის, ფრაუ ფოკერატ, რა ძნელია ჩემთვის მარტო ცხოვრება, მაგრამ მაინც კი მირჩევნია ტყავი გავიძრო და გავყიდო, ვიდრე ის ლოთი შევიფერო'.. ის... ღმერთი უნდა სწამდეს ადამიანს ღმერთს არა დროს არ მოუტყუებივარ. (კარებს აღებს) ეხლავე მაღაზიისაკენ გავწევ და რამე სასმელ საკმელს ვუყიდი ჩემ გოგო-ბიჭებს (კარდის).

ფრ. ფოკ. (მისძახის) სამზარეულოში შედი, გადარჩენილ კერძს მოგცემენ. (იღებს სკამს და იმ სკამის გვერდითა სდგამს, რომელიც იოჰანესმა ფრეიდინ მარისთვიის დასდგა.) გთხოვთ, ფრეილინ, დაბრძანდეთ.

ფრ. ანნა. (ჯდება კუბედაგად) მე სრულებით არ დავღლივარ... მე...

ფრ. ფოკ. თქვენ ამ ქალაქში ბრძანებულხართ.

ფრ. ანნა. არა მე ოსტზეიცის პროვინციიდან გახლავარ.'. მე... (ტოტა შეკრთება)

ფრ. ფოკ. მეტის მეტი ხრიოკი ადგილია, სრულებით არ მომწონს მე თვითონ ბრესლავლის მიდამოებში ვცხოვრობ, გარდა ამისა, აქ საშინელი სიძვირეა, თქვენ ვერც კი წარმოიდგინეთ რა სიძვირეა. ჩემ ქმარს მამული აქვს აღებული იჯარით. იქ კიდევ შეიძლება ცხოვრება; ხანდისხან შვილებსაც კი ვუგზავნით ცოტაცოტას' თქვენ აქ შენიშნეთ ტბა? საუცხოვო რამაა, დიახ შეიძ ოება იმისი ცქერით ადამიანი დასტკბეს. ჩვენთვის მაინც მეტად სახერხო არის. ჩვენი სახლი ზედ ტბის ნაპირზე სდგას. ცბის კიდეზე, ბაღში, ორი ნავია მიბმული; მაგრამ არ მიყვარს ყმაწვილები რო ნავით ცურაობენ! სწორე მოგა-

ხსენოთ, მეშინიან... უკაცრაოთ არ ვიყო და თქვენ ეხლა ბერლინში სცხოვრობთ?

ფრ. ანნა. დიახ! მე პირველათ ვარ ბერლინში და მინდოდა კარგათ დამეთვალიერებინა ქალაქი...

ფრ. ფოკ. ოდონდაც ბევრი რამაა დასათვალიერებელი, მაგრამ მეტის-მეტი ხმაურობა კია.

ფრ. ანნა. დიახ საშინელი ზრიამულია მომეტებულათ მისთვის, ვინც პატარა ქალაქში ცხოვრებასა მჩვეული.

ფრ. ფოკ. თქვენ რომელი ქალაქიდანა ბრძანდებით?

ფრ. ანნა. რეველიდან. ეხლა ციურიხში გიახლებით. უკანსკნელი ოთხი წელიწადი ციურიხში გავატარე.

ფრ. ფოკ. ჰოო! მშვენიერი შევიცარია!.. თქვენ უთუოთ ნათესავები გეყოლებათ ციურიხში?

ფრ. ანნა. ირა! ვსწავლობ.

ფრ. ფოკ. უნივერსტეტში?

ფრ ანნა. დიახ, უნივერსიტეტში.

ფრ. ფოკ. რას ბრძანებთ? მაშ თქვენ სტუდენტი ბრძანებულხართ. ვერ უყურებთ! ეს მეტად საინტერესოა. მართალა სტუდენტი ბრძანდებით?

ფრ. ანნა. დიახ ბატონო!

ფო. ფოკ. მითხარი, გეთაყვა, ბევრს ნამესა სწავლობთ უნივერსიტეტში? ნუ თუ თქვენ ეს მოგწონთ...

ფრ. ანნა. (ეტინება) დიახ, რასკვირველია.

ფრ. ფოკ. მითხარით, გეთაყვა... (ოჰანესი და ბრაუნი გამოჩნდებიან შუშაბანდში. მათ დანახვაზე ქალები წამოდგებიან)

ფრ. ანნა. მაპატიეთ. გარწმუნებთ მე ალიან მცხვენიან რო შეგაწუხეთ.

ფრ. ფოკ. რას ბძანებთ, ფრეილინ, მე ვიდათ მოხარული ვარ რომ ნამდვილი სტუდენტი ქალი ვნახე საკუთარის თვალით. ჩვენ ასთანა ხალხს ძალიან სულელური წარმოგენა აქვს ხოლმე. ერთი მიბძანეთ, გეთაყვა, თქვენ ბატ. ბრაუნის რამე ნათესავი ბრძანდებით?

ფრ. ანნა. არ ჩვენ ერთმანეთი პარიი გამოფენის დროს გავიცანით...

ფრ. ფოკ. (ხელს აძლევს) მშვიდობით ბძანდებოდეთ მე, სწორეთ მოგახსენოთ, დიდათ ვისიამოვნე...

ფრ. ანნა. კიდევაც ბოდიშს ვიხდი. (ფრ. ფოკერატი თავის დაკვრით გასდის შუშაბანდში. ოჰანესს და ბრაუნი ერთ წუთს დადგებზე თათბირობენ შუშაბანდში. თათბირის შემდეგ ოჰანესი შუშაბანდში ჯდება და მარტო ბრაუნი შემოდის ოთახში)

ბრ. (გაკვირებით) ფრეილინ მაარ! ეს თქვენა ხართ?!

ფრ. ანნა. დიახ მე გახლავარ! მაგრამ არ იფიქრო კი რომ მე ისეთი წინდაუხედავი ვარ... თქვენმა სახლის პატრონმა მომაცილა. იმისი ბრალია რო აქ მომიხდა თქვენი ძებნა.

ბრაუნ. ბიმ-ბამ.

ფრ. ანნა ბიმ-ბამ.. მართლა ისევ ცოცხალია?

ბრაუნ. არა, რალა დროსია! სიზმარშიაც არ მომლანდებია. ეს ძალიან კარგია..

ფრ. ანნა. თქვენ წინანდებულათ ალტაცებული ხართ! თქვენთვის—ძალიან კარგი რამაა!.. მართლა, სრულებით არ გამოსცვლილხართ.

ბრაუნ. თქვენ ასე გონიათ? მაგრამ გაიხადეთ ჯერ თქვენი ოკეტი, ფრეილინ!

ფრ. ანნა. არა, არა რას ამბობთ?! მე მინდოდა ისე დამეხედნა-რას აკეთებდით.. (ეჯავრებს) მე მსურდა მეკითხნა,—რას შვრება თქვენი დიდი სურათი? შეიძლება გნახოთ?

ბრაუნ. სურათი მზათ არ გახლავთ, ჯერ ტილოც კი არ მიყიდნია!

ფრ. ანნა. ეგ ვერაფერია, თქვენ კი დამპირდით...

ბარუნ. კაცი ბეჭობდა, და... მაგრამ გაიხადეთ, მართლა..

ფრ. ანნა. მე გნახეთ, ბატონო ბრაუნ, და ეხლა იმედი მაქვს...

ბრაუნ. არა, არა, დარჩით.

ფრ. ანნა. აქ დავრჩე?

ბრაუნ. დიახ! თქვენ ხომ ჯერ არ იცით ვისთანა ხართ... ოჰან ფოკერატთან! ჩემი ნაცალბარაკევიდან სკიმაოად იცნობთ. დღეს აქ ნაილობაა: ძალიან კარგ დროს მოხვედით.

ფრ. ანნა. არა' არა, მოუხერხებელია'

გარდა ამისა, ქალაქში საჭირო საქმეები მაქვს

ბარუნ. მალაზიები ყველა დაწეტილია.

ფრ. ანნა. ეგ სულ ერთია, მე მხოლოდ ნაცნობების ნახვა მინდა, მაგრამ არ კი იფიქროთ რო ასე ადვილად თავიდან მომიშორა რა. ჩვენ კიდევ კარგათ უნდა მოვილაპარაკოთ, ერთი ლაზათიანად უნდა გაგცოცხლო რო დაპირება არ ამისრულეთ. თქვენ, მგონი, ისეთი მხატვარი ხართ, რომელიც უფრო სიტყვებით...

ბრაუნ. ჯერ აზრი უნდა გამოირკვიოს კაცმა, თორემ დახატვას ყოველთვის მოასწრობს.

ფრ. ანნა ვინ იცის!

ბრაუნ. მე თქვენ მაინც არ გაგიშვებთ

ფრ. ანნა. ბატონო. ბრაუნ, გთხოვთ ნუ დამიბრკოლებთ

ბრაუნ. იოჰან, ჰანეს!

ფრ. ანნა. გთხოვთ. (**იოჰანესი მორიდებით შემოდის**)

ნება მომეცით, გაგაცნოთ ჩემი მეგობარი იოჰანეს ფოკერატი. ფრეილინ ანნა მაარი.

იოჰა გაგონებით თქვენზე ბევრი რამ გამი-

ფრ. ანნა. გონია (**ორივენი ერთად**).

ბრაუნ იოანეს, წარმოიდგინე რომ ფრეილინა გაპარვას აპირებდა.

ალბან. ჩემ ცოლსაც და მეც ძალიან გვეწყინებოდა. ნუ თუ ამ ერთ საღამოს ჩვენ არ გვიწყალობებთ?

ფრ. ანნა. არ ვიცი, ღმერთმანი..' მაგრამ მართლა თუ თქვენ არ შეგაწუხებთ, სიამოვნებით დავრჩები.

იოჰან. სრულებითაც არა!., პირიქით.. (**ეკეტს კარდის და ბრაუნს კედესცემს**) **დაჯიდე, გეთაყვა.** მე კი წავალ და ჩემ ცოლს შევატყობინებ (**სწოდ ოთახის კარებიდან შესძახებს**) კეტე! (**შორეულ კარდის სწოდ ოთახში**)

ფრ. ანნა (**სარკეში იყურება და ტანსაცმლის ასწორებს**) თქვენი მეგობარი ძალიან მოსიყვარულე იქნება.

ბრაუნ. ხანდისხან გადაჭარბებულთაც

ფრ ანნა როგორ!

ბრაუნი ვხუმრობ რასაკვირველია ძალიან კეთილი რამეა! ცუდია მხოლოდ იმ დროს, როდესაც თავის მაწერებზე დაიწყებს ხოლმე ლაპარაკს: მაშინ სწორედ აუტანელი ხდება ამაში თქვენ თვითონ დარწმუნდებით, თუ ამ საღამოთი აქ დარჩებით, თავის ხელთანაწერებიდან უთოდ წაგიკითხავსთ რამეს.

ფრ. ანნა. ეგ რა ხელთანაწერები აქვთ?

ბრაუნი. ჩემთვის ძალიან ძნელი მისასვლელი რამა: ფილოსოფიური, კრიტიკული, ფსიხო-ფილოსოფიური და კიდე რა ვიცი.'. რაღაცა არა ჩვეულებრივი კი.

ფრ. ანნა. ეს მეტად საინტერესოა: მეც ხომ ცოტაოდენი გამეგება ფილოსოფიისა

ბრ. მაშ მალე ველარ დაეხწეფით: მეტის მეტად გაუხარდება, თუ იმისი ნაწერები დაგაინტერესებთ.

იოჰა. (**კარიდან სწოდ ოთახიდან კარებში**) ბრაუნ!

ბრ. რა ამბავია?

იოჰ. მოდი აქ, კეტე გეძახის. ერთი დამშვიდდი გეთაყვა: იმას ჰგონია რო ბლოს ერთი ნეკი ძალიან გრძელი აქვს.

ბრ. ეგ რაღა სისულელეა!

იოჰ. რასაკვირველია, სირეგვენ! მაგრამ შენ მაინც დაამშვიდე: უთხარი რომ ტყუილად-უბრალოდ სწუხს.

ბრ. კარგი, კარგი. წავალ! (**კარდის სწოდ ოთახში**)

იოჰ. ფრეილინ, ჩემი ცოლი ბოდიშს იხდის მაგრამ მალე გეახლებათ.

გითხოვ კი რომ ჯერჯერობით ჩვენი პატარა ბალი გაჩვენოთ. გნებავთ?

ფრ. ანნა. რასაკვირველია! დიდი სიამოვნებით.

ალბან. (**დამშვიდით**) საუცხოვო ადგილია რასაკვირველია, ნაქირავებიც. ეველაზე შვენიერი აქ ტბაა თქვენ გინახავთ მიყელის

სერგო გიორგის ძე ნაკაიძე

ქართველთა ცხენოსან პოლკში მსახურებდა, მესოპოტომიის მხარეზე ბრძოლაში დაიჭრა და ოსმილებს ტყვედ ჩაუვარდა.

მზე ამობრწყინდა...

ძველთა თავისუფლებისთვის მებრძოლთ

ბნელი ღამეა,.. კუბრივით შავი ღრუბლები ტალღებივით ირევიან პირქუშა ცაზე..: სიცოცხლე გაყინულა..,

სამარისებური სიჩუმე მეფობს ყველგან... ხოლო აქა იქ ბნელეთის ჯურღმულებში ადამიანების კვნესა და ავსულთა მაყრიონი გაისმის...

— ოხ, საზარელია.., საშინელია ეს ღამე!.. საშინელი! ნეტავი როდემდის იქნება ასე... როდემდის?—აღმომხდა გულიდან.

ჩუ!.. უკუნეთ წყვდიადში მამლის ყივილი გაისმის,.. მას მიყვნენ სხვებიც,.. ყრუ სიბნელეში თითქო სიცოცხლე შეიჭრა.,.

ქვეყანა ახმაურდა.,.

— განთიადი მოახლოვებულია.,. მზე უნდა ამოვიდეს!—ჩამძახის ვილაც...

უცებ იელვა,.. იგრგვინა... ამოვარდა ქარიშხალი... ქვეყანა საშინელმა ხმაურობამ მოიცვა...

— არ გვინდა შავბნელი ღამე!., არა!.. გაისმოდა ირგვლივ...

ძლიერი ქარი შეუჩერებლივ დაჰქროდა და სადაც მიერეკებოდა ნაფლეთ-ნაფლეთად დაგლეჯილ ღრუბლებს-.. და გამოჩნდა მზე, რომელიც ჯერ კიდევ მკრთალად ანათებდა,..

ეტყობოდა დიდი, დიდი ხნის განაწამები იყო იგი...

ცხოველი მზე თანდათმან იკრებდა ძალა და ბრწყინვალებდა.,..-, მისმა სხივებმა სიცოცხლე დაუბრუნა ყველას...

საუკუნოებით გაყინული ქვეყანა მოჩუ-ხჩუხე ნაკადულებათ იქცა... კლდე-გამოქვაბულებში შეხიზნული ჩიტები ჭიკჭიკით გამოფრინდენ ვერცხლისფერ სხივებზე...

მიდამო ათასფრად აყვავილდა...

გრძნეული ბულბული თავისუფლების ჰანგით მიესალმა ახლათ გაღვიძებულ ქვეყანას, თავისუფლების სიმღერები ჰაერს ეპობენ, .

ქვეყანა გაცოცხლდა... მზე ამობრწყინდა!..

ლ. ძაძიგური

კინტოს ჩივილი

ერთი მითხარ სადა გაქვს სამართალი?,
უსამართლოდ გაგვიძვირე ფართალი;
ვერ ვიყიდე ვერც დოში, ვერც სათალი;
სთქვი, მითხარი, სადა გაქვს სამართალი?

* * *

მთელი ქვეყნის მიწა, ფული, შენია;
მოეკიდოს ცეცხლი, ნავთი, გენია;
დედამიწა და ქვეყანა ერთია,
გამგებელი თვით უფალი ღმერთია.

* * *

ვითომ რაო? შენ მოგანიჭა ყველა?
მიწა, წყალი და ნახარი სუყველა?
არ არსებობს შენთვის სამართალია,
და ყველას სთლი, როგორც რომ სათალია.

* * *

მაგრამ როცა კარს დაგირეკს სიკვდილი;
მაშინ ნახე ჩვენი ხარხარ-სიცილი;
ვის უტოვებ შენ ამდენსა ქონებას?
ერთი ჰკითხე შენს ჰკუას და გონებას.

* * *

საიქიოს ვერაფერს ვერ წაიღებ,
გასაგებსაც, ამ ქვეყნადვე გაიგებ..
მაშ ნუ გინდა, შენ ეგ დიდი ქონება,
და ნურც სხვისი წვალება და მონება.

* * *

ერთი კარგათ, მოიკრიბე გონება:
ძმურად დავყოთ ეს საერთო ქონება.

ივ. ინახარიძე

დათვის სამსახური

ვინც სახნავი უკეთმართად
ბრუნდეთ ხნას და ბრუნდეთ ფარცხოს,
ის მე პურსა ნულარ მაკმევს,
რაც იმ ფქვილით გამოაცხოს!..

დ. გურამიშვილი.

დათვის სამსახური ხომ კაკაკონიათ მეტის მეტი ერთგულობით თავის ბატონს შუბლზე რომ ქვა დასცა, ბეზს კუფურნო და სული კი კაფურთხობინა.

სწორედ ასე ირჯება ზოგიერთი ადამიანი, რომელიც პარტიის ჩერის შეფარებია, პარტიის სახელით „რევოლიუციონერობს“ და თვისი საქმე ედით არა თუ საქმე აკეთებს, ფუნეს კიდეც.

მოგეხსენებათ, დღეს ჩვენს ქვეყანაში მაინც საკირო არა ურთიერთისკენ გათიშვა, რევოლიუციონერ და ოპოზიციონურ ძალთა გაცალცაკვება, არამედ მათი შეჯეფეება, შეკავშირება!

ამის მაგიერ კი რას ვხედავთ?—

ზოგიერნი „ამხანაგნი“ ისე ირჯებიან, რომ დამის არის სოფლის მოწინავენი ურთიერთს შემოტაკონ...

ოქრის კაცი რომ იყოთ, ანგელოზი, ყოველ სათნო, მაინც კაკათხსირებენ, თუ „პარტიულად“ არ გემსრობიან.

ამის არაყინ დაკიდეს, ახლა მთავრობამ რევოლიუციის პირველი დღიდანვე რომ გამოაცხადა თავისუფლება რწმენის, სიტყვის, კრების, კავშირის, სინიდისის და სხ.

არც ამის დაკიდეს, ახლა სამხედრო მინისტრმა, სკულის მინისტრად ყოფილმა მოქალაქე კერენსკიმ რომ გამოაცხადა: ოდესრა ბრძოლა ავრდით არ შეიძლებო.

ჩვენი სოფელი ჯერ კიდევ სიბნელეშია ჩაფლული, ბევრ ადგილას წერა-კითხვის მცოდნე, შეგნებული ადამიანი სანოდით საძებარია. ზოგიერთ სოფელში თუ შეგხვდებით ოდესრა კულტურული შუაკი, ხალხის საკეთილდღეოდ რომ არაფერი დაუზოგავს და შესტრფის ამ ნეტარ დღეს, რომელსაც ჩვენი ხალხი იქნება თავისუფალი, სხვათა ერთა თანასწორი, უფლება მოსილი, თვისი თავის ბატონ-პატრონი ასეთი ადამიანები უფრო ამ მიმართულებას მისდევენ, რომელიც ადარებს სხვებთან ერთად საქართველოს ბედნიერებასაც. რევოლიუციის წინა ხანაში ასეთ მუშაკებს დაადაც დიდის ნდობით ეპურობდა სოფელი, იგინიც სოფელს სულსა და გულს სწირავდენ.

მაგრამ დაჰპერა რევოლიუციის ქარიშხალმა და პირველ ხანებში თუ ასეთი ადამიანები სოფელმა თავკაცებად აირჩია, შემდეგში ზოგიერთ „პროპაგანდისტთა“ ჩასმენით სრულიად გარეა.

გუშინ, გუშინ წინ რომ შარა გზაზე გამვლელ-გამოვლელს სტარცვავდა, ორი-სამი გროშისთვის კაცს არ დაინდობდა, ბევრ ადგილას ასეთი კაცებიც კი თავკაცობენ.

პარტიულ-ჯგუფური კანხეთქილება ზოგან იქამდეა მისული, რომ ძველის დროის სარწმუნოებრივ კაციჭამიობას მოგაგონებს.

ამ მიზეზით დღეს ბევრგან იფუშება ვერანდა ხალხის კულტურულ-ეკონომიური ამაღორძინებელი საქმეები.

განა ეს მოგვიხდება?!

ვისი ბოროტი ხელი ირჯება ასე?

*
* *

სოფლებიდან სამწუხარო ამბები მოგვდის ბევრგან ხალხისგან არჩეული კაცები გადუფენებია, და მერე ისეთი კაცები, რომელთაც ხალხის ეოველმხრივი ნდობა ჰქონია დამსახურებული. წინად თუ „ბრისტაკები“ იქცეოდენ ასე (ახლა სულ სხვანი ირჯებიან „ბრისტულად“.

სხვათა შორის, სოფ კეპრეთში (კახეთში) მისულ კაცთა დაყენებულ მოთხოვნით კომიტეტის წევრობიდან გადუფენებია ადგილობრივი ელვა მიტო სოდოდაშვილი და საუკეთესო მოუხსენებია ადგილობრივი მოძღვარი ბოჭორაძე.

მიტო სოდოდაშვილი კარგა ტანიანი ელვა ხა, ოვითკანგეთარებული და მომზადებული. ხშირად კაზეთებში სწერდა და სწერს საკუთარ წერილებს. ცამეტი წლის წინად თბილისის საკუთარი საერთო თათბირზე საოვდოთო ეურადღება მიიქცია თავისი ს

დობით, სოფლის კამოსარწყლებით, ცხრაას ექვსს ბირველ სათაბირის არწყვნებში საკუბერნიო ამომრჩეველად იყო და აქაც ბირველმა მან კამოიიჩინა დამოუკიდებელი ფხიზელი აზროვნება ჩვენი ერისა და ხალხის საკეთილდღეოდ. რაიცა მაშინ ვერ შეიტანეს და უსაბუთოდ სდევნეს. საქართველოს საკუთარი პარლამენტი რომ ედარსოს (და მე დრმათ მწამს, რომ ეს ასეც იქნება) აი ვინ უნდა კიეგზავნოს ამ პარლამენტში ბედნიერ ინტერესების დამცველად'..

და ასეთ ბედნიერს სდევნიან!

უტუკარი ცნობები გვაქვს აგრედვე ასალგაზდა მოძღვრის ბოკორიძის შესახებ: კაცი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ხალხის სამსახურისათვის წავიდა სოფლად,—მცირე ხნის განმავლობაში გახსნა ორი სკოლა, კოოპერატივი, ბანკი, სოფლის ნიგთიერად ასამაღლებლად იმდენი ეცადა, რომ ბაზრობა დაწესებინა და რკინის გზას სოფლის ბოლოზე კამართვინა ბაქანი, როგორც ჭეშმარიტი მოძღვარი ყოველის დონისძიებით ებრძოდა და ებრძვის ხალხის დამოდუბვედ ადათ-წესებს და სცდილობს ხალხის ამაღლებას, გათვითცნობიერებას,—აი ასეთ კაცს სდევნიან: ანათორა გაცვიაო.

ვინც მიცნობს, ჩემი აზრიც ეცოდინება: კლერიკალების მოტრფიალე არა ვარ, და თუ მოძღვარი ბოკორიძე მოგიხსენიე, იმიტომ კი არა მდგდლობით მომწონდეს; კაი ხანია ჩვენებური მუქთახორა და მოხელედ გარდაქმნილი მდგდლები ავირიდე, მაგრამ სიმართლე ყოველთვის უნდა ითქვას.

თუ კი გუშინდელი შანტაჟისტი, ავაზაკი, მძარცველი, ენა-ტანია, ზნეობა-კონებით გახრწნილი, სათოკე და ციხიდან გამოპარული, არა რაგორც პოლიტიკური, არამედ რაგორც ავაზაკი, რომელიც ხალხში თვის ნამდვილ სახეს მალავს და მხოლოდ პროვაკაციას ეწევა, ვიმეორებ, თუ კი ისეთი კაცი წინა კაცად უნდა იხსენიებოდეს, ნუ თუ ვისმეს ნება აქვს სდევნოს ის უმწიკვლო კაცი, რომელიც ხალხის კეთილდღეობას შესტრფის და მუდამ იმას ცდილობს დღეგანდელ სეროო ზეიმში საქართველო და მისი ბედკრული მკვიდრიც პირში ჩალა-გამოდებული არ დარჩეს?!

დიახ, ბევრგან სდევნიან სწორედ იმას რომელსაც ორივე ხელით უნდა მოებდუჭნენ. ეს ხომ იმასა ჰგავს, ბნელ ლამეში სანთლები ჩაქრონ!

ბევრ ადგილას სოფლის საათავეში მოჰქცეგიან (ბირდაბარ თუ არა, ზურგს უკანიდან მაინც) ყოველად გათახსირებულნი, გარეწარნი, უგიცნი, ზნე დაცემულნი..

ასეთმა კაცმა რა უნდა არგოს სოფელს?

კუტი ძირს ვერ დადიოდა.

ადგის ხეზე ადიოდა-ო!

ვინმე ფხიზელი გონების კაცი თუ გამოერია და ამხიდა, დაემუქრებიან: ახლავე დაგიქერთო...

მართალია, ასეთი ამბები გარდამავალი სანის ბრალია, მართალია წუალნი წაყდენ და წამოგდენ—ქვიშანი დარჩებიანო, მაგრამ სანამ ყოველივე თავის ბუნებრივ კალაპოტში ჩადგებოდეს,—რავდენად შეჩერდება სოფლის წესიერი ცხოვრება!

სოფელიც სდუმს და, ძველებურად, ბოდმას გულში იგუბებს...

ეს ბოდმა ერთხელაც არის ამოხეთქავს...

იოსებ იმედაშვილი

შრომის სამეფოში

(იხ. „თ. და ც." № 25).

—ნუ თუ ასე უყურებენ მუშა ქალს? ნუ თუ მართლა ასე დამცირებული ვართ? ნუ თუ ჩვენ არ გვთვლიან ადამიანებათ? - ეკითხებოდა ოლია თავის თავს, მაგრამ პასუხი არსიდან ესმოდა, მას მხოლოდ პასუხს აძლევდა ქარხნის საყვირები, გიორგი, რომელიც დაუყვირებდა... მოწყენილი, ერთფეროვანი ცხოვრება, რომელიც უღრღნიდა გულს... დიახ, იტანჯება ოლია ფიზიკურად ფაბრიკაში, ამავე დროს ისჯება სულიერათ ფიქრებისაგან.. უნდა აიშოროს მან ფიქრები, ეს ის ყოველივე ოცნებად ეჩვენა, მაგრამ, ის აინც მას საზღვრებს ვერ შორდება..

—საწყალი დედა!... მომელოდა, ადრე ჩოხევალ, შვილო შინო. შეიძლება ფიქრობს, მე კარგათ ვცხოვრობ და ის დავივიწყე. მან არ იცის ჩემი გაჭირვება, მე იმისი... მახსოვს როგორ ვფიქრობდი: ოჯახს, დედას დავეხმარები მეც ჩემს თავს მოუვლი კარგათ მეთქი, მარა დახეთ რა რიგ წავიდა ჩემი საქმე! ეხლა საკმარისი წლოვნობის ვარ, არაფერი გამაჩნია, მარტოთ პურის ფულს ვშოულობ ტანჯვით... ასეთ გაჩენას, რომ არ გავეჩინე ღმერთს არ ჯობდა!.. უკეთესი არ იყო, სულ არ მოვსულიყავი ამ ქვეყნათ!.. - ხშირათ კვნესის ოლია, ასეთი გმინვა ისმის ამის გულიდან, მხოლოდ ისე საიდუმლოთ, ეროთ არავის ესმის...

—მომენატრა საყვარელი დედა, და-ძმა! მარა რა ვქნა?.. ვინ იცის, შეიძლება კიდევ მოეწყოს საქმე, ქირაი მომიმატონ, იქნებ დავეხმარო დედას... მარა ოხ, რა ცუდი ხალხია ამ ქალაქში, ყველას მეშინია, მატყუებენ. ან ქირას მომიმატებენ? — თუ არ გინდა, გარეთ გეთრიო—დამიყვირა გიორგიმ. მართლა, რომ გამაგდონ, სად უნდა წავ-დე? რა წყალში ჩავარდე?.. მერე, რა დაუშავდებათ, რომ მეტი ქირა მომცენ, ნუ გეშინია არ დაიკლდეო: იმოდენას იგებენ... შეიძლება არ მგკუთნის, მაგრამ ხომ ხედავენ გაჭირვებულს კაბა ტანზე არ მაცვია და ფეხზე, ღარიბი კაცის შვილი ვარ...

მიდის დრო. ოლია ჩვეულებრივი ფიქრებით მოცული განაგრძობს მუშაობას ქარხანაში... ესმის ჩვეულებრივი გინება და ყვირილი...

მართლაც, ოლია რაც ქალაქში ჩამოვიდა, მას არც კი უნახავს ისეთი ადამიანი, რომ მისთვის დახმარება გაეწია, მას მხოლოდ დაეინვა ახსოვდა... ბევრი შეეიწროება ნახა, ბევრი განსაცდელი გაიარა, მარა აიტანა... მის მოგონებაში მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, ერთი ეპიზოდი, რომელიც ახსოვდა და რომელშიაც ის ხედავდა სულ სხვა ხმას... მაგრამ ის კარგათ გარკვეული არ იყო და ფიქრობდა ნუ თუ შესაძლებელია, რომ ჩვენც ადამიანურათ ვიცხოვროთო. ან თუ მოვესწრები სიყვარულით ავსილ ცხოვრებას?. სეთი კითხვები აღეძრებოდა მას, როცა მოაგონდებოდა ის შემთხვევა, როცა მას და ! ხვა მუშა ქალებს მამაკაცებთან ერთად, ერთ საღამოს ქალაქს გარეთ ერთი ახალგაზდა ესაუბრა —მათ მდგომარობაზე, აუხსნა ყველაფერი და მოუწოდა .. ოლიას ახსოვს ეს. ეიოვს-ის მოლაპარაკე დამრიგებელი, დამხმარე, მისი—მესაიდუმლე... მან ნახა ადამიანი. მან გაიგონა ადამიანური ხმა... მოსარჩლე ვინმე იხილა, გაიგო რომ ისიც ადამიანი ყოფილა... მან ერთხელ ნახა პირველათ, მარამ შემდეგ კი ვერა... რამოდენიმე ხნის შემდეგ კი ფაბრიკაში უთხრეს, - იგი ნარიმის მხარეში გააგზავნესო...

ეს იყო პირველად, პირველჯერ... და ეს იყო, მის ცხოვრებაში დასაწყისი ახალი ხანისა. იმ დღიდან ის გამოიცვალა, დააკვირდა ცხოვრებას და შეუდგა თვით-განვითარებას... მართალია, მან თავისი მესაიდუმლე ვერ ნახა იმ ღამეს შემდეგ, მარა შეეცადა მის მონახვას. ის მუშაობს, კვირაუქმე დღეებში წიგნებს კითხულობს, თავისი მეგობარიც მართლაც დააინტერესა და სხვა მუშა ქალებსაც ესაუბრებოდა. თავის ირგვლივ ათამდე ახალგაზდა —ქალებს მოუყარა თავი და ერთ გვარი წრე შექნა. მისი წინანდელი ფიქრები, მოგონებები შეიცვალა სხვაზე... და მან, ქალები, რომლებიც დამცირებულათ ეჩვენებოდა, უკვე ადამიანებათ დაინახა... გაბედულება მოემატა და მისთვის აიხსნა ქარხნის წესებს, თან და თან ირკვეოდა ცხოვრებაში და ხალისიანად შეუდგა ახალ ფერხულში ჩაბმას...

ეს იყო დასაწყისი... და ეს იყო იმ დროს, როცა 1905 წლიდან საკმაო დროს გაევლო და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ახალი გამოფხიზლების ხანა იწყებოდა...

(გაგრძელება იქნება)

ეუეისპირელი.

„ფიქრი სანატრი“ და ფიქრნი „შავად მღელვარნი“

III

„ფიქრი სანატრი“ და პოეტის „ხვედრი“

ადამიანის სულის წყურვილი, მისი გულის ნადები აშკარათ ნატვრაში გამომჟღავნდება, შევიტყოთ, რაში მდგომარეობს ბარათაშვილის სულის უმთავრესი მოთხოვნილება ამას გვამცნებს პოეტის „ფიქრი სანატრი,

ორ ლექსში გამოსთქვავს პოეტი თავის ნატვრას, ერთი ასე იწყება „არ უკიჟინო სატრფოვო. და მეორე „ცისა ფერს ლურჯსა ფერს“ პირველ ლექსში ბარათაშვილი აფთხილებს სატრფოს, რათა მისი „უკვდავნი გრძნობანი“ არ მიიღოს ხორციელ გულის თქმად, რადგან თუ არა ხორციელ სამოსლით »მოკვდავსა ენას არ ძალ უძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა« შემდეგ პოეტი განმარტავს რაში მდგომარეობენ ეს უკვდავნი გრძნობანი.

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივი
ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
საღამო მისთვის შთავიდე,
რომ დილა უფრო გაცხოვლო.
მინდა რომ ვიყო ვარსკლავი
განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდენ
ტუეთა ფრინველნი და ვარდი«.

სატრფოსათვისაც მსგავსი რამ ენატრება მგოსანს:

მინდა შენ იყო სატრფოვო
მშვენიერისა ცის ცვარი,
რომ განაცოცხლო შავარნო,
მდელო სიცხითა დამჭკნარი«

მაშასადამე, პოეტის ნატვრაა გარდაიქცეს თვითონაც და მისი სატრფოც მსოფლის მაწარმოებელ კოსმიურ ძალებად-მზედ, ვარსკლავად ცის ნამად, და თანამშრომლობდენ მათთან ერთად სამარადისოდ.

„რომ ერთად შესხივებულნი შვებას მოჰფენდენ სიცოცხლეს არეს ავსებდენ სიამით

მცენარეთ განმაცხოვლებლად იყვნენ სასალის, მარადის.

სოფლისა განსათავებლად.

ამ რიგად, პოეტის »იდუმალი ხმა« ანუ სულის უმთავრესი მოთხოვნილება მის სანატრ ფიქრში განსახიერდა უკვდავ გრძნობებად, რომელნიც ესწრაფიან შეემსჭვმლნენ მსოფლიოს მოწალმართე უკვდავ ძალებს.

სჩანს, პოეტის ხვედრი უკვდავების ბეჭდით უნდა იყოს აღბეჭდილი. აი რათ მისდრეკენ ცისაკენ პოეტის სანატრი ფიქრება მის არსებას!

მეორე დასახელებულ ლექსში პოეტი გვიხატავს თავის სწრაფს ცისკენ.

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არა ამ ქვეყნიერს
სიყრმიდგან ვეტრფოდი“

სიყრმიდანვე იქით იტაცებდა პოეტს მისი სანატრი ფიქრი:

ფიქრი მი სანატრი მიმიწვევს ცისა ქედს
რომ ეშხით დამთვრალი შეეერთდე
ლურჯსა ფერს“

პოეტი წინასწარ ჰგრძნობს, რომ არ ეღირსება სამშობლოში სიკვდილი და ნუგეშობს მით, რომ ცა იქნება მისი მფარველი დამტირებელი, და საფლავის ნიადის შემწყნარებელი:

„მოვკვდები, ვერ ვნახავ
ცრემსა მე მშობლიურს
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფქვრევს ცვარს ციურს.
სამარეს ჩემსა რომ
გარს ნისლი მოიცვავს
იგიცა შესწაროს ციაგმან
ლურჯსა ცას“

ცა უკვდავება მარადისობა—აი რას თხოულობს პოეტის სულის წყურვილი! აი სად უნდა ეძიოს ბარათაშვილმა თვისი ხვედრი, აი რაზედ ჩასჩიჩინებს მას მისი »იდუმალი ხმა«, მისი მეტაფიზიკური აღლო!

დ. მ. დეკანოზიშვილი.

(გაგრძელება იქნება.)

რედაქტორ-გამომც. იოსებ იმედაშვილი.

სასახლის ქუჩა
თავად აზნ. სახლი

ერთად ერთ რესტორან „კაფე პარიზს“ საზაფხულოდ აქვს ბაღი, სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება საუზმის, სადილის და ვახშმის მირთმევა, არის ცალკე ფანჩატურები და კაბინეტები. სანოვაგე საუკეთესო ლირსებისაა პატივისცემით სილ. გიგიბერია.

„სახალხო ფურცელი“

ყოველდღიური პოლიტიკური გაზეთი სოციალისტ ფედერალისტებისა. თითო № 10 კ. რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისში, სასახლის ქ. სარაჯიშვილის სახ. № 6 ფოსტის ადრესი: Тифлисъ „Сахалхо пурцели« поч. ящ. 190. ტელ. № 12—29

რედ.-გამომცემელი **დ. ჯორჯაძე**

7 მაისიდან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით

გაზეთი: „ჭარის კაცი“

გაზეთი წლის დამლევამდე ეღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: г. Тиф. **Редакція „Джарисъ—Каци.“ Почтовый ящикъ № 190**

რედაქცია და კანტ. მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს. რედ. კომრ. კ. **ცქიტიშვილი**

ხარფუხის საზოგადო კლუბი

ოტრშაბათი—სინემტოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი - სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი —ქართული წარმოდგენა,

ხუთშაბათი—ოპერეტა რუსულ ენაზე.

პარასკევი— საოჯახო საღამო

შაბათი—რუსული წარმოდგენა

კვირა—სიმებიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები — 25 კ. მამაკაცნი 50 კ.

დასაწყისი: წარმოგენა—კონცერტების —სინოგრაფ—საღ. 8 ნახ. ს.ტეა

ახალი კლუბი

1 კვირის პრუ
აპრილის 23 30

ზ ი რ ა — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ოტრშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

ხუთშაბ. — საოჯახო საღამო

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დ

აბ — საო

სტამბა „სარაბანი“